

**ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი საკონსტიტუციო
სასამართლოს საქმიანობისა და მისი გადაწყვეტილების
საველდებულობის შესახებ**

კონსტიტუცია ქვეყნის უმაღლესი იურიდიული დოკუმენტია, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკურ-სამართლებრივ შეხედულებათა ერთიანობას და შესაბამისად განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის ძირითად ორიენტირებს. მასში ასახულია სახელმწიფოს ხელისუფლების ჰორიზონტალური და ვერტიკალური დანაწილება, განმტკიცებულია ადამიანის უფლებები და ის ზოგადი პრინციპები, რომელიც საერთოა სამართლის ყველა დარგისთვის. ეს გამომდინარეობს კონსტიტუციის უზენაესობის იდეიდან, რომელიც მოქმედებს უშუალოდ და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპების განხორციელება არ ხდება ავტომატურად. მისი მოქმედება შესაძლებელია დაირღვეს განზრახ, ან სამართალშემოქმედების პროცესში დაშვებული შეცდომის შედეგად. მსგავსი არასასურველი გარემოების თავიდან აცილების მიზნით, კონსტიტუციონალიზმში დამკვიდრებულია კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის საშუალებათა სისტემა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლი.¹

კონსტიტუციური კონტროლის პირველი პრეცედენტი გაფორმდა აშშ-ში 1803 წელს საქმეზე „მერბერი მედისონის წინააღმდეგ“ როდესაც კონგრესის მიერ მიღებული კანონი დაუპირისპირდა კონსტიტუციას და უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონსტიტუცია არის „ქვეყნის ძირითადი და უზენაესი კანონი“ და რომ „საკანონმდებლო ხელისუფლების ნებისმიერი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, მოკლებულია იურიდიულ ძალას“.²

კონტინენტური (რომანულ-გერმანული) სამართლის ქვეყნებში პირველი საკონსტიტუციო კონტროლის პრეცედენტი დაფიქსირდა 1920 წელს, რაც იურისტ-მეცნიერ ჰანს კელზენის დამსახურებაა, რომელმაც გადაამწყვეტი როლი ითამაშა ავსტრიის კონსტიტუციის შემუშავებაში.³

მიუხედავად იმისა, რომ ეს მოდელი კელზენმა ავსტრიისთვის შეიმუშავა, პირველი საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც მის საფუძველზე ჩამოყალიბდა, ამოქმედდა არა ავსტრიაში, არამედ ჩეხოსლოვაკიაში. სასამართლო 1920 წლის თებერვალში დაარსდა, ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლო რომელმაც მოქმედება რამდენიმე თვის შემდეგ, 1920 წლის ოტომბერში დაიწყო, ძალიან ჰგავდა ჩეხოსლოვაკიის სასამართლოს, მაგრამ მისგან განსხვავდებოდა უფრო ფართო უფლებამოსილებით.⁴

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლები ყველგან ერთნაირი არაა და ის მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება სხვადასხვა ქვეყანაში. საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების უფლებამოსილება განიცდიდა

¹ გ. კვერენჩილაძე. კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგიერთი თეორიული საკითხი). ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“ 2006, N3, გვ. 39.

² ო. მელქაძე. კონსტიტუციონალიზმი. თბ. 2008. გვ. 371.

³ ა. შაიო. ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი. თბ. 2003. გვ. 285.

⁴ ჰ. შვარცი. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. თბ. 2003. გვ. 57.

ევოლუციას და დროის მსვლელობასთან ერთად შეიმჩნევა მისი უფლებამოსილების გაფართოება, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, მსოფლიოს უფრო მეტ ქვეყანაში მისი დამკვიდრებით, და მეორე მხრივ, დემოკრატიული ფასეულობების წინ წამოწევით კონსტიტუციურ დონეზე. სახელმწიფოში კონსტიტუციური კონტროლის განხორციელება ძირითადად დაკავშირებულია ადამიანის უფლებების დაცვასთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის კომპეტენციურ დავათა გადაწყვეტასთან და ხელისუფლების დანაწილების პრინციტთან, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს კომპეტენციათა განაწილებას ხელისუფლების ცალკეულ შტოთა შორის, ურთიერთკონტროლისა და გაწონასწორების მექანიზმის არსებობას, აგრეთვე კომპეტენციათა გამიჯვნას ხელისუფლების ცალკეულ შტოთა სტრუქტურაში არსებულ კონკრეტულ სახელმწიფო ორგანოებს შორის.¹

საქართველოს რეალობაში საკონსტიტუციო ზედამხედველობისა და კონტროლის უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოს დაარსება უკავშირდება საქართველოს დამოუკიდებლობის 1918-1921 წლებს, როდესაც 1919 წლის 29 ივლისს დაფუძნდა საქართველოს უზენაესი სასამართლო - სენატი, რომლის უფლებამოსილებაში საკასაციო ინსტანციით საქმის განხილვის გარდა შედიოდა თვალყურის დევნა მთავრობის ყოველი დაწესებულების, თანამდებობის პირის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ კანონის დაცვასა და სისწორით აღსრულებაზე², ხოლო დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული პირველი ქართული კონსტიტუციის მე-8 მუხლი ადგენდა „კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია, არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედა აზრის წინააღმდეგია“. კონსტიტუციის 72-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი კი განსაზღვრავდა რომ, კონსტიტუციისა და კანონების დაცვისადმი „თვალყურის დევნა“ და მათი აღსრულება რესპუბლიკის მთავრობას ევალებოდა.³

მიუხედავად იმისა, რომ პირველ ქართულ კონსტიტუციაში არ იყო საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო მისი კლასიკური ორგანიზაციითა და უფლებამოსილებებით წარმოდგენილი, რომლის ერთადერთი და ძირითადი ფუნქცია ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის კონტროლი იქნებოდა და მთავრობის უფლებამოსილება საკონსტიტუციო ზედამხედველობას უფრო შეესაბამებოდა, შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ არა საბჭოთა ოკუპაცია, იგი ამ მხრივ მალე განვითარდებოდა, რადგან იმ დროისთვის თვით ევროპაშიც კი ახალი დამკვიდრებული იყო საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოს მოდელი.

საბოლოოდ საკონსტიტუციო კომისიამ რომელმაც 1995 წლის 24 აგვისტოს მიიღო დამოუკიდებელი საქართველოს რიგით მეორე კონსტიტუცია, შეჯერდა საკონსტიტუციო კონტროლის კონცეპტირებულ მოდელზე. ამ საკითხს კენჭი ეყარა საკონსტიტუციო კომისიის სარედაქციო ჯგუფში ჯერ კიდევ 1994 წლის დასაწყისში და მაშინდელი შედეგის მიხედვით, 8 წევრი (ოთხის წინააღმდეგ) თანახმა იყო, რომ საკონსტიტუციო სასამართლო შექმნილიყო დამოუკიდებელი ორგანოს სახით.⁴ გამომდინარე აქედან, საქართველოს კონსტიტუციის 107-ე

¹ ჯ. ხეცურიანი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“ 2006, N3, გვ. 31.

² გ. კახიანი. კონსტიტუციურობისა და კანონიერების კონტროლისა და ზედამხედველობის იდეები პირველ ქართულ კონსტიტუციაში, ჟურნ. „სამართალი“ 2006, N1-2, გვ. 19.

³ იხ. იქვე გვ. 21.

⁴ ვ. გაული. კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში. გვ. 248.

მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად 1996 წლის 31 იანვარს დაჩქარებული წესით მიღებულ იქნა ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“.

საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური საფუძვლები მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლის პირველ პუნქტში, სადაც საუბარია სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე, მათ შორის, კონსტიტუციური კონტროლის ფორმით. 83-ე მუხლი კი პირდაპირ ამბობს „საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. მისი უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციით და ორგანული კანონით“. ორგანულ კანონთან ერთად საკონსტიტუციო სასამართლო თავის საქმიანობას ახორციელებს „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის“ შესაბამისად. ხოლო 89-ე მუხლში შესაბამისად ჩამოთვლილია საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები (სულ შვიდი) რომელსაც ასევე ემატება „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში განსაზღვრული კიდევ ოთხი სახის უფლებამოსილება.

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსიებათა ნუსხის განსაზღვრისას გამოყენებული ამ წესის შესახებ უნდა გავიზიაროთ ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის უფლებამოსილების ორგანული კანონით განსაზღვრა მიუღებელია, რადგან ამ შემთხვევაში შედარებით ადვილია ორგანული კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების ჩამორთმევა, ვინაიდან ორგანული კანონის მისაღებად და მასში ცვლილებების ან დამატებების შეტანისთვის საჭიროა პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის მხარდაჭერა (საქართველოს კონსტიტუციის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტი) მაშინ, როდესაც კონსტიტუციური კანონის მიღება მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ მოითხოვს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორ მესამედს. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ისიც რომ 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური რეფორმის შედეგად კონსტიტუციის გადასინჯვისთვის დადგინდა შედარებით რთული პროცედურა (102-ე მუხლის მესამე პუნქტის ახალი რედაქცია) საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის უშუალო კავშირშია საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობასთან, რაც მოითხოვს, რომ მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხთა ნუსხა უნდა იყოს სტაბილური და არ შეიძლება გახდეს არათუ პერმანენტული გადასინჯვის, არამედ გადასინჯვის საშიშროებისა და ამის შესაძლებლობაზე აპელირების ობიექტი საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან, რომელთან კონფლიქტშიც შეიძლება აღმოჩნდეს საკონსტიტუციო სასამართლო მის მიერ საკანონმდებლო აქტის არაკონსტიტუციურად გამოცხადების შემდგომ. მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც პარლამენტარიზმის იდეის მომხრეები საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომადგენლობითი ორგანოს ზემდგომ, სახალხო სუვერენიტეტის შემლახავ ორგანოდ მოიაზრებენ.

საკონსტიტუციო იუსტიციის მნიშვნელობაზე სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაში არცთუ ისე ცოტა თქმულა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი საკითხი სათანადოდ, ან საერთოდ არაა გამოკვლეული¹. აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური რეფორმის შემდგომ უცვლელად დარჩენილმა კონსტიტუციის იმ მუხლმა, რომელშიც საუბარია საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაზე (88-ე მუხლის მე-2 პუნქტი) შესაბამისად, საკონსტიტუციო

¹ გ. კახიანი. აბსტრაქტული ნორმატივობის პრობლემები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში. ჟურნ. „სამართალი“ 2009, N1, გვ. 61.

სასამართლოს ფორმირებაში კვლავაც საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტი და საქართველოს უზენაესი სასამართლო მონაწილეობს. ზოგიერთი მკვლევარის აზრით ეს არ შეესაბამება რეფორმის შედეგად დამკვიდრებულ ნახევრად-საპარლამენტო ტიპის მმართველობის მოდელს, სადაც გაზრდილია მთავრობის უფლებამოსილება პრეზიდენტის უფლებამოსილების ხარჯზე და ის ხდება აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას (78-ე მუხლის მე-2 პუნქტის ახალი რედაქცია) . მართალია საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირება ყველა ქვეყანაში ინდივიდუალურობითა და თავისებურებებით ხასიათდება, მაგრამ ვფიქრობთ რომ ეს მაინც უნდა გახეს შემდგომი განხილვისა და მსჯელობის საგანი.

პრობლემურია საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის კანდიდატისთვის წაყენებული მოთხოვნის, ცენზის შესახებაც. კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-4 პუნქტში დადგენილია მხოლოდ მოქალაქეობრივი, ასაკობრივი და განათლების ცენზი, სამაგიეროდ შეიცავს მითითებას რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების შერჩევის, დანიშვნისა და არჩევის, მათი უფლებამოსილების და სასამართლოს საქმიანობის სხვა საკითხები განისაზღვრება კანონით“. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლში გადმოტანილია კონსტიტუციის ეს დებულება და მეორე პუნქტი ადგენს, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შერჩევისას საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტი და უზენაესი სასამართლო ითვალისწინებენ კანდიდატის პროფესიულ გამოცდილებას, რომელიც უნდა შეეფერებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მაღალ სტატუსს“. საინტერესოა რა შეეფერება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის „მაღალ სტატუსს“, ან რატომ უნდა იყოს ეს საკითხი თავისუფალი მოწესრიგების (მოუწესრიგებლობის) საგანი, მაშინ, როდესაც იგივე საერთო სასამართლოს მოსამართლეთათვის მოქალაქეობის, ასაკობრივი, და განათლების ცენზის პარალელურად დაწესებულია სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება (86-ე მუხლის პირველი პუნქტი). გამოდის რომ საერთო სასამართლოებში შეიძლება მივიღოთ უფრო კვალიფიციური, გამოცდილების მქონე მოსამართლეები, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელიც ასოცირდება და იდეაში უნდა იყოს ყველაზე კვალიფიციური მოსამართლეებისგან დაკომპლექტებული, (თუნდაც იმიტომ, რომ მისი გადაწყვეტილება საბოლოოა და დაშვებული შეცდომის გაოსწორების შანსი სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის არარსებობის გამო შეუძლებელია, 89-ე მუხლის მე-2 პუნქტი) და რომელიც ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლის ფორმალურ, მატერიალურ, წინასწარ, (საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებებთან დაკავშირებით (კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-4 პუნქტი) პარლამენტის მიერ მის რატიფიცირებამდე) შემდგომ, სავალდებულო, დამდგენ, აბსტრაქტულ თუ კონკრეტულ კონტროლს, დასაშვებია დაინიშნოს პირი ყოველგვარი გამოცდილების გარეშე პირადი სიმპატიით.

შემდეგი საკითხის პრობლემურობა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ის ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის წესს. ცნობილია საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევისა და დანიშვნის წესი, შესაბამისად შიგნიდან ან გარედან. საქართველოში ამ მხრივ დადგენილია მეტად ორიგინალური პროცედურა, რადგან „ერთი მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია თავად აირჩიოს თავის თავმჯდომარე (საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტი), ხოლო, მეორე მხრივ, იგი შეზღუდულია ასარჩევ პირთა კანდიდატურაში („საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს რომ „საკონსტიტუციო

სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელება ხდება საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეთანხმებული წინადადებით“).

ზემოთ მოყვანილი კონსტიტუციისა და ორგანული კანონის შესაბამისი ნორმებიდან გამომდინარე ხდება მოსამართლეთა რანგირება, როდესაც მათ შორის ამოირჩევა (შეთანხმდება) ერთი კანდიდატურა, რომელსაც შემდგომ კენჭს უყრის საკონსტიტუციო სასამართლო და აირჩევს ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე საინტერესოა საკითხი რამდენადაა პარლამენტისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილი ამოარჩიოს თავმჯდომარეობის კანდიდატურა მაშინ, როდესაც ორივე ორგანოში არჩეული კანდიდატების უკან მოიაზრება ერთ შემთხვევაში პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ ნახევარი და მეორე შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს პლენუმის დამსწრე წევრთა არანაკლებ ორი მესამედი.

პრეზიდენტის ფიგურის სიძლიერიდან გამომდინარე შესაძლებელია ეს შეთანხმება პარლამენტის თავმჯდომარესა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან უბრალო ჩანაწერად დარჩეს და მთავრობის მონაწილეობის სრული გამორიცხვის ფონზე პრეზიდენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრის დანიშვნის უფლებას, ირიბად თავმჯდომარის კანდიდატურის წამოყენების უფლებაც მიამატოს, რაც ნეგატიურად უნდა იქნეს შეფასებული. ჩემი აზრით, უმჯობესი იქნება, თუ თავად საკონსტიტუციო სასამართლოს მივანდობთ საკუთარი შემადგენლობიდან თავმჯდომარეობის კანდიდატურის წამოყენებისა და დანიშვნის მთლიან პროცედურას და აღარ მოხდება მის საქმიანობაში ჩარევა.

საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია მისი გადაწყვეტილების აღსრულება. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა (89-ე მუხლის მე-2 პუნქტი. ასევე „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-8 პუნქტი.) არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, რაც ემყარება საქმის კოლეგიის, ხოლო მისი მნიშვნელობის და სირთულის მიხედვით პლენუმის მიერ კოლეგიალობის პრინციპით განხილვას. ამის საფუძველია კონსტიტუციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი რომელიც ადგენს „საქართველოს კონსტიტუცია ქვეყნის უზენაესი კანონია და ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას“. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლი გადაწყვეტილების გამოქვეყნებად მიიჩნევს სრული სახით მის გამოქვეყნებას „საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში“ (მე-5 პუნქტი). ამავე კანონის 33-ე მუხლში წერია რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან და 15 დღეში ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების მიერ გადაწყვეტილების ხელმოწერიდან 15 დღეში იგი ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე“.

თუმცა, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-20 მუხლი ადგენს „კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას, იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით“ აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ აქვს უკუძალა. საქმე

იმამია, რომ, როცა სამართალი უძლურია მოახდინოს წარსულში დაშვებული უსამართლობის გამოსწორება, მისი ამ მიმართებით მცდელობა საფრთხეს შეუქმნის სამართლებრივ სტაბილურობას და ახალი უსამართლობის წყარო გახდება, ასეთ ვითარებაში ვერ გამოვიყენებთ გადაწყვეტილების უკუმაღას¹

„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში საუბარია იმაზე, თუ როდიდან ითვლება არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი ძალადაკარგულად და მის აღსრულებაზე. აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება, რომლის მიხედვითაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, გარდა ისეთი შემთხვევისა „თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი“ (მე-2 პუნქტი) ან „თუ ამ აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი“ (მე-3 პუნქტი) შესაბამისად კანონით დადგენილი ვადის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ამავე კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ „ბ“ „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით დარეგულირებული საკითხთა წრე, რომელიც ეხება საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხზე სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში იმას, თუ როდიდან შეიძლება გამოცხადდეს ძალადაკარგულად გასაჩივრებული დადგენილება. ხოლო მეორე შემთხვევაში თავად სასამართლოს აქტით უნდა დადგინდეს აღსრულების ვადები.

„საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ არ შეიძლება ისეთი სამართლებრივი აქტის მიღება/გამოცემა, რომელიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი“ („საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტი) ეს ნორმა ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც იყო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ახალი ნორმატიული აქტის გამოცემით „გადაფარვის“ შემთხვევა². საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ძირითადად სრულდება, თუმცა ცნობილია საერთოდ შეუსრულებადი და შესრულება-გაჭიანურებული გადაწყვეტილებანი. ეს ეხება უფრო სოციალურ-ქონებრივ საკითხებზე და არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს³.

საკონსტიტუციო სასამართლოს საკუთარი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფისთვის. კონკრეტული, ეფექტური და ქმედითი ბერკეტები არ გააჩნია. საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კანონმდებლის, როლი და მისი გადაწყვეტილების ადგილი სამართლის წყაროთა სისტემაში. საქართველოში სამართლის წყაროდ მიიჩნევა ის აქტები რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ხელისუფლება გამოხატავს სამართლებრივ ნორმებს. სამართლებრივი აქტები იყოფა ინდივიდუალურ და ნორმატიულ აქტებად. ნორმატიული აქტები კი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად⁴. როგორც ვხედავთ აქ მოხსენიებული არაა სასამართლო აქტები და ის (სამართალშეფარების

¹ ბ. ზოიძე. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პირობები (ზოგადი მიმოხილვა და საქართველოში არსებული მდგომარეობა), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2004, N4, გვ. 69.

² გ. კვერენჩილაძე. კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგიერთი თეორიული საკითხი), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2006, N3, გვ. 43.

³ ბ. ზოიძე. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პირობები (ზოგადი მიმოხილვა და საქართველოში არსებული მდგომარეობა), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2004, N4, გვ. 63.

⁴ საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, მე-2, მე-4, მე-5 მუხლები.

აქტი) არ წარმოადგენს სამართლებრივ აქტს (არც ნორმატიულს და არც ინდივიდუალურს), მაშასადამე, არც სამართლის წყაროა¹.

„საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის“ მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს რომ „გადაწყვეტილების/დასკვნის გამოცხადებიდან 3 დღის ვადაში მისი ასლი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს“ დაახლოებით მსგავსი შინაარსის შემცველია „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი სადაც წერია „გადაწყვეტილებისა და დასკვნის ასლები,, ასევე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიღებული განჩინების ასლები აუცილებლად ეგზავნებათ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს“ ეს ნორმები ემსახურება ხელისუფლების შტოთა ინფორმირებას მხოლოდ, რადგან განსაზღვრული არაა რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას, რა ვალდებულებები ეკისრებათ ამის შემდგომ ინფორმირებულ ორგანოებს. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე წელიწადში ერთხელ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს წარუდგენს ინფორმაციას საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების შესახებ“ ეს ნორმა ზოგადად მთელ წელს ეხება და დამატებით არც აქედან შეგვიძლია გავიგოთ რა როლი აკისრიათ სახელმწიფო ორგანოებს და რა ვალდებულებები ეკისრებათ მათ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების კუთხით.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების თვალსაზრისით საინტერესოა „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელშიც წერია რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი: „იღებს ზომებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის და თვეში ერთხელ მოახსენებს პლენუმს მათი აღსრულების მიმდინარეობის თაობაზე“. არსადაა დაკონკრეტებული თუ რა ზომებს იღებს და რა საშუალებებს იყენებს საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი გადაწყვეტილებათა აღსრულებისთვის. ფაქტია რომ მთლიანად საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია ბერკეტები აღსრულებისთვის, იგი მხოლოდ ინფორმირებას ახდენს სახელმწიფო ორგანოების, შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ თავად ეს ორგანოები უნდა ზრუნავდნენ მათი კომპეტენციის ფარგლებში აღსრულონ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები.

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ავსტრიის კონსტიტუციის ნორმები სადაც საუბარია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე და სადაც წერია რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ავალდებულებს ფედერაციისა და მიწის უმაღლეს კომპეტენტურ ორგანოებს დაუყოვნებლივ გამოაქვეყნონ გაუქმების თაობაზე ცნობა (ავსტრიის კონსტიტუციის 139-ე მუხლის მე-5 აბზაცი) ამავე აბზაცში საუბარია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილების ძალაში შესვლის ვადებზე „გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან, თუ საკონსტიტუციო სასამართლო თვითონ არ დაადგენს დადგენილების მოქმედების შეჩერების ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს, ხოლო რაიმე საკანონმდებლო ზომების განხორციელების

¹ მ. მარინაშვილი, ნ. გელაშვილი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ადგილი სამართლის წყაროთა სისტემასი. ჟურნ. „მართლმსაჯულება“, 2007, N3, გვ. 168.

აუცილებლობისას - 1 წელს“ 140-ე მუხლის პირველი აბზაცის პირველი წინადადება „კანონის, როგორც არაკონსტიტუციურის, გაუქმების შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ავალდებულებს ფედერალურ კანცლერსა და შესაბამისი მიწის გუბერნატორს, გამოაქვეყნონ გაუქმების შესახებ ცნობა“ ამავე მუხლის მე-7 აბზაცში მოცემულია კიდევ ერთი საინტერესო ჩანაწერი, კერძოდ: „ კანონის გაუქმებამდე წარმოქმნილ გარემოებებთან მიმართებით, კანონი ექვემდებარება შემდგომ გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გახდა მისი გაუქმების მიზეზი, თუ საკონსტიტუციო სასამართლო გაუქმების თაობაზე თავის გადაწყვეტილებაში სხვა რამეს არ დაადგენს“ სხვა მუხლში ასევე საუბარია ვადაზე რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს. ეს ვადები განსხვავებულია გაუქმებული ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობის სპეციფიკის მიხედვით და შესაბამისად განსხვავებულია მათი აღსრულებისა და გაუქმების ვადები. ყველაზე საინტერესო აღსრულების თვალსაზრისით არის ავსტრიის კონსტიტუციის 146-ე მუხლის პირველი აბზაცი, სადაც წერია რომ გარკვეული სახის დავებს აღსრულებს ჩვეულებრივი სასამართლოები, ხოლო მე-2 აბზაცი იწყება ასე: „საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებათა აღსრულება ეკისრება ფედერალურ პრეზიდენტს. აღსრულება ხორციელდება მისი მითითებით უფლებამოსილი პირების მიერ და მისი შეხედულების თანახმად ფედერალური ან მიწის ორგანოების მიერ, ფედერალური არმიის ჩათვლით. შუამდგომლობას ამგვარ გადაწყვეტილებათა აღსრულების თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლო უცხადებს ფედერალურ პრეზიდენტს“

როგორც ვხედავთ ავსტრიის მაგალითზე კარგადაა მოგვარებული საკითხი იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა აღსრულოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და ის ვადები, რომლის ფარგლებშიც შეიძლება გადაიდოს აღსრულება. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი შეიძლება იყოს ახალი აქტის გამოცემის აუცილებლობა. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ეს საკითხები მოწესრიგებულია კონსტიტუციურ დონეზე. იმის გათვალისწინებით რომ ავსტრია ფედერალური ტერიტორიული მოწყობის მქონე სახელმწიფოა, აქ საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა რთული ამოცანების გადაჭრაც უწევს.

ჩვენს რეალობაში ხშირად ხდება ისე, რომ საკონსტიტუციო სასამართლო აცხადებს ნორმას არაკონსტიტუციურად და რადგან მისი გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა ასეთად ცნობის მომენტიდან, ვიღებთ სიტუაციას, როდესაც მოქმედებს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა, ახლის მიღება კი დროში იწელება. რაც შეეხება აღსრულების საკითხს, შეიძლება ზოგადად ამოვიდეთ კონსტიტუციის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან სადაც საუბარია იმაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტი უზრუნველყოფს „სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად“ ამდენად, სწორედ პრეზიდენტია სახელმწიფოში კონსტიტუციურობის პირველი გარანტი. მაგრამ ფაქტია, რომ ამ მხრივ საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის განმსაზღვრელი კანონები სრულყოფას საჭიროებენ და საკონსტიტუციო სასამართლო სრულად ვერ ახერხებს მისი უფლებამოსილებების რეალიზაციას.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება არ უნდა იყოს დამოკიდებული ადრესატის კეთილ ნებაზე და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების, როგორც თვითაღსრულებადი აქტის ხასიათზე საზოგადოებაში, რომელიც იმყოფება გარდამავალ ეტაპზე და რომელიც დიდი ხანი არაა რაც დაადგა დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზას. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა სრულდებოდეს და ეს არ უნდა გახდეს ჩვეულებითი სამართლისა და პრაქტიკით მოწესრიგების საკითხი, რადგან საქართველო არ მიეკუთვნება საერთო სამართლის

სისტემის ქვეყანათა რიცხვს და შესაბამისად კანონი არის ის ერთადერთი წყარო, რომლის საფუძველზე და რომლის მიხედვითაც უნდა მოქმედებდეს ყველა სახელისუფლებო განშტოება.